



საქართველოს გაერთიანებული  
წყალმომარაგების კომპანია  
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA




UNDP-GEF  
KURA




Empowered lives.  
Resilient nations.

# აუზის გეობრუნა

VI-VIII კლასები





“წყლის რაციონალური მოხმარება ქ.გორის საყოფაცხოვრებო სექტორში”,  
“Rational Water Use in the Municipal Sector in Gori City”

# აუზის გეომორფია

„მდინარე“, „მდინარის აუზი“ - ეს ის ტერმინებია, რომლებიც, ალბათ, ხშირად გაგიგიათ. მოდით, ვნახოთ, რა სხვაობაა მათ შორის. თუ რა არის მდინარე, ჩვენ უკვე კარგად ვიცით, ეს არის წყლის ნაკადი, რომელიც მაღალი წერტილიდან (მთიდან) დაბლობისაკენ ეშვება და სხვა მდინარეში, ტბაში, ზღვასა თუ ოკეანეში ჩაედინება. მდინარის აუზი კი დედამიწის ის ნაწილია, სადაც მოსული თოვლისა და წვიმის წყალი გროვდება და ამ მდინარეში ჩაედინება. მდინარეები, რომორც წესი, იკვებება წვიმისა და დამდნარი თოვლის წყლით, ასევე მიწისქვეშა წყლებით. დიდი მდინარის აუზი, ჩვეულებისამებრ, რამდენიმე ქვე-აუზს მოიცავს (მაგალითად, მდ. რიონი).



დედაგინაზა წყალი მუდგინვად მოქრობს. ის ერთი ფინიკური მდგომა-რეზინდან მეორეუი გადანის (მყარინდან - ყინულიდან - თხევადუი; თხევადინდან - აირადუი - წყლის ორთქლი). წყლის მოქრობას მზის ენერგია განაწირობას. წყალი ერთი მდგომაწრობინდან მეორეუი ზუნებრინვად გადსავლინს გავილის ტიკლს, რომელიც წყლის ბრუნვის (ტიკლის) სხხელით არის ცნობილი. წყლის ბრუნვა მუდგინვი პროტანისა და არასდროს წყდება. წყლის ბრუნვას ზუნებრუი კალიან დიდი მინოველობა აქვს, სწორად მისი დამსახუნებაა მდინარეთა აუზახისა და წყლის ობიექტახის - მდინარეახის, ტბახის, ჭარბეახის, მყინვარეახის - არსებობა.





მდინარეთა ნაწილი, ერთზე მეტი ქვეყნის ტერიტორიაზე გაედინება. შესაბამისად, მათი აუზებიც სხვადასხვა ქვეყნის ფარგლებში გდებარეობს. ასეთ მდინარეებს ტრანსსასაზღვრო მდინარეებს უწოდებენ (მაგალიტად, მდინარე მტკვარს). მდინარის აუზი პირობითად მდინარის ქვედა და ზედა დინებად შეიქცევა დავყოთ. ქვედა დინებაში გდებარე წყალმომხმარებლები - ქალაქები, სოფლები, სანარმოები - დამოკიდებული არიან ზედა დინებაში გდებარე წყალმომხმარებლებზე. ადვილი მისახვედრია, რომ, თუ დინების ზედა ნაწილში მდინარე გდებარება ან აუზიდან წყალს ჭარბად იღებენ, ეს ქვედა დინების წყალმომხმარებლებზე უარყოფითად მოქმედებს, მათ შორის, ტრანსსასაზღვრო აუზებში.

წყლის რესურსები მსოფლიოში არათანაბრად არის განაწილებული. ზოგიერთ ქვეყანას წყლის უხვი რესურსი აქვს, მაშინ, როცა სხვები წყლის ნაკლებობას განიცდიან. თვით ქვეყნების შიგნითაც წყალი, როგორც წესი, არათანაბრად არის განაწილებული. მაგალიტად, დასავლეთი საქართველო, აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, წყალუხვია.



◦ ეს საინფორმაციო ◦  
 მიწისქვეშა წყლები დღეისათვის მტკვარი წყლის რესურსების მნიშვნელოვანი წყაროა. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი სასაქონლო სწორედ მიწისქვეშა წყალს იყენებს. მიწისქვეშა წყალი ხელოვნური ზედაპირის ქვეშეთ გროვდება. ის მიწის ფორმისა და ქანებში წყლის წვეთების ჩაქონებით ხვდება, შეგება კი სიმიქის ქალით ღრმა ფენებში გადაინაცვლებს მანამ, სანამ წყალმომხმარებელს არ მიაღწევს და დაგროვებას დაიწყებს. თავად წყალი, როგორც წყლის შემცველ ფენებში გროვდება მიწისქვეშა წყლის სახლით მოიხსენიება. მაგალიტად, მიწისქვეშა წყალია წყაროებიდან და ჭებიდან აღებული წყალი. მიწისქვეშა წყალი შესაძლოა ათასობით წლის განმავლობაში გროვდებოდეს.



ბოლო პერიოდში, მოსახლეობის სწრაფი ზრდისა და სოფლის მეურნეობისა თუ მრეწველობის განვითარების პირობებში, უფრო და უფრო მეტი დატვირთვა მოდის წყლის რესურსებზე. აღნიშნულის გამო მსოფლიოს მრავალი ქვეყანა წყლის რესურსების დეფიციტის წინაშე დგება. სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება მიმდინარე კლიმატური ცვლილებების ფონზე.

არსებული პრობლემების გათვალისწინებით, საჭიროა წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენება, სარგებლობის ისეთი პრინციპის დანერგვა, რომლის მიზანაც იქნება არა მხოლოდ ადამიანის, არამედ ყველა წყალმოსარგებლის, მათ შორის, გარემოსა და აკონსერვაციის, უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობის წყლით ისე, რომ წყლის რესურსების ხარისხი არ დაეცეს და ისინი ეფექტიანად იქნეს გამოყენებული; საჭიროა წყლის ისე გამოყენება, რომ მოგვალ თაობებსაც კომფორტ სუფთა და ხარისხიანი წყლით სარგებლობის შესაძლებლობა. ასეთ მართვას რესურსების მდგრადი გამოყენება, ანუ მდგრადი მართვა ეწოდება.



აუცილებელია, რომ წყლის რესურსების მართვაში მონაწილეობა მიიღოს აუზის ფარგლებში წარმოდგენილი ყველა მოხმარებელმა (მოსახლეობამ, სანარმოებამ, ფარმებმა და ა.შ.). წყლის მოხმარების გაუმჯობესება და მდგრადი მართვა მხოლოდ წყლის გამოყენებაზე ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით და ყველა მოხმარებლის დაკმაყოფილებით (მათ შორის, გარემოს მოთხოვნების დაკმაყოფილებით) არის შესაძლებელი.




## გააკეთე თავად

- ◆ რუკის დახმარებით მოქაზე საქართველოს ძირითად მდინარეთა აუზები და მათი ქვე-აუზები.
- ◆ რუკის დახმარებით მოქაზე საქართველოს ტრანსსასაზღვრო მდინარეები.
- ◆ საქართველოს რუკაზე შეარჩიე რომელიმე აუზი და გაიზრე, ვინ იქნებიან ამ აუზის ფარგლებში წყალმომხმარებლები.
- ◆ ჩამონერა ის მხარეები, რომლებიც, შენი აზრით, აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ აუზის ფარგლებში წყალთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში. შენი მოსაზრებები გაუზიარე მეგობრებს. იმსჯელე კლასში მასწავლებელთან ერთად.



გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) "მთკვარი II" პროექტის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაცია „გარემო და განვითარება“ ხელრციელებს სადემონსტრაციო კამპანიას „წყლის რაციონალური მთხმარება ქ. გორის საყოფაცხოვრებო სექტორში“.


## გარემო და განვითარება


 რაჭაძის ქუჩა N29 0179, თბილისი, საქართველო

 [info@envdevelopment.org](mailto:info@envdevelopment.org)

 [www.envdevelopment.org](http://www.envdevelopment.org)

შამგვიანთელით ფინანსა და ინსტაგრამ გვერდზე:

 „Water for all - Gori“

 „Water for all - Gori“